



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება:გ-31.31222423

თარიღი:30/08/2022

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო განკარგულება №50 2022 წლის 29 აგვისტო ქ. ლანჩხუთი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების განმეორებითი ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზებისას, საწყისი საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 115-ე მუხლის პირველი ქვეპუნქტის, 119-ე მუხლის მე-10 პუნქტისა და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 08 დეკემბრის N669 დადგენილების 38-ე მუხლის შესაბამისად,

მუხლი 1. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების განმეორებითი ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზებისას საწყისი საპრივატიზებო საფასური შემცირდეს 67% -ით და განისაზღვროს დანართის შესაბამისად.

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს „ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის“ მე-8 თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი



დანართი - 1

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის უძრავი ქონების ელექტრონული აუქციონისთვის საწყისი საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრის და ამ საფასურიდან „ბე“-ს და „ბიჯის“ განსაზღვრა							
N	მისამართი	დასახელება	საკადასტრო კოდი	საწყისი საპრივატიზებო საფასური (ლარი)	შემცირებული საწყისი საპრივატიზებო საფასური (ლარი)	„ბე“ ს საფასური (ლარი)	„ბიჯის“ საფასური
1	ჩიბათის ადმ ერთეული, სოფ.ქვ.ჩიბათი	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა ნაგებობა	27.09.50.282	97893	33 %-32305	3231	3231

